ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

თბილისი
1981

## № 4

აპრილი АПРЕЛЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1981

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 28/V-81 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/VII -81 წ.;
ანაწყობის ზომა 6×9; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 5,12;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,75

შეკვ. № 555 უე 14110 ტირაჟი 6 000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7.
Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 1980 წლის 30 ოქტომბრის

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოების შ ე ს ა ხ ე ბ

მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის და დაარსების 75-ე წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ქ. ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
ო. ქინქლაძე

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
დ. იოსელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1980 წლის 30 ოქტომბრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 744

### საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით დაჯილდოების შ ე ს ა ხ ე ბ

ქ. ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლის 75-ე წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში გაწეული ღვაწლისათვის საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდნენ აღნიშნული სკოლის შემდეგი მუშაკები:

1. წერეთელი ნანული გრიგოლის ასული
2. გომართელი ნუნუ პავლეს ასული
3. გელაშვილი ელისო ლუკას ასული

**საფუძველი:** ქ. ჭიათურის განათლების განყოფილების მომართვა.

მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1980 წლის 3 დეკემბრის ბრძანება № 843

## რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში 1979—1980 სასწავლო წლის შედეგებისა და მიმდინარე სასწავლო წლის ამოცანების შესახებ

მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა და საღამოს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებმა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და დახმარებით გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს სკკპ XXV ყრილობის მიერ მომუშავე ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების სრულყოფის საქმეში დასახული ამოცანების შესასრულებლად.

სწავლებაში ახალი ფორმებისა და რეჟიმის დანერგვამ, რაც მთელ რიგ სკოლებში განხორციელდა, ახალ სასწავლო გეგმასა და პროგრამებზე გადასვლამ, სკოლების დამხმარე სახელმძღვანელოებით, ინსტრუქციულ-მეთოდური წერილებით, მითითებებითა და რეკომენდაციებით უზრუნველყოფამ ხელი შეუწყო სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

1979—1980 წლებში რესპუბლიკის 60 რაიონსა და ქალაქში განხორციელდა საღამოს სკოლების რეორგანიზაცია — შეიქმნა დაუსწრებელი და დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლები სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისა და ჯგუფების ფართო ქსელით.

ამავე პერიოდში მოსწავლეთა კონტინგენტი 51.800-დან 62.000-მდე გაიზარდა, ამაღლდა აკადემიური მოსწრება (87,9%-დან 93,1%-მდე), საშუალო განათლება მიიღო 62.870-ზე მეტმა კაცმა, ორჯერ შემცირდა სკოლებიდან არასაპატიო მიზეზით გასულ მოსწავლეთა რაოდენობა.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე რესპუბლიკაში გადაჭარბებით სრულდებოდა მომუშავე ახალგაზრდობის სწავლაში ჩაბმის სახალხო სამეურნეო გეგმები. უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შემცირდა საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდების რიცხვი. ბევრ რაიონსა და ქალაქში უკვე მიაღწიეს 16—29 წლის ასაკის მომუშავე ახალგაზრდობის სწავლაში მთლიანად ჩაბმას.

მოზრდილთა სკოლები, ძირითადად, უზრუნველყოფილია კვალიფიკაციის მქონე კადრებით. მასწავლებელთა (11.195) 99%-ზე მეტი უმაღლესი განათლებითაა. ბევრი მათგანი სისტემატურად იმაღლებს თავის ცოდნას, ეუფლება მომუშავე ახალგაზრდებთან მუშაობის სპეციფიკას და სასურველ შედეგებს აღწევს სწავლებისა და აღზრდის საქმეში.

კარგი შედეგებით დაამთავრა 1979—1980 სასწავლო წელი ამბროლაურის, აბაშის, ახმეტის, ბორჯომის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის დაუსწრებელი, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სიღნაღის, თელავის, თიანეთის, ხაშურის, ხობის, წალენჯიხის, წითელწყაროს და სხვა რაიონების სკოლებმა, მუშაობის ახალი ფორმებისა და რეჟიმის დანერგვის ინიციატორები არიან ქ. ქ. ქუთაისის და თბილისის ზოგიერთი სკოლები. მეთოდური მუშაობის სრულყოფისათვის გააქტიურეს საქმიანობა ქ. თბილისის საღამოს სკოლების მეთოდკაბინეტმა, რესპუბლიკურმა დაუსწრებელმა, ცხაკაიის საგარეჯოს, თბილისის 34-ე და სხვა სკოლებმა.

1979 წელს მოზრდილთა სწავლებაში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და განათლების სამინისტროს გარდამავალი დროშა გადაეცა ბორჯომის, გორისა და წითელწყაროს რაიონებს, ხოლო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის განათლების სამინისტროს და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშა და ფულადი ჯილდო—საგარეჯოს რაიონულ დასწრებულ-დაუსწრებელ საშუალო სკოლას. 1979 წელში სხვადასხვა სახის საკავშირო და რესპუბლიკური ჯილდო დაიმსახურა 29 სკოლისა და საწარმოს კოლექტივმა, სახალხო განათლებისა და სხვა სისტემის 84 მუშაკმა.

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მუშაობაში მოპოვებული წარმატებები იმის შედეგია, რომ განათლებისა და დარგობრივი სამინისტროების ერთობლივი მუშაობით, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით ბევრგან შექმნილია მომუშავე ახალგაზრდების სწავლებისათვის საყოველთაო ზრუნვის ატმოსფერო. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ საწარმოები, მეურნეობები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სკოლის დამხმარე კომისიები და დამრიგებელთა საბჭოები. კარგი ტრა-

დიციებია ამ მხრივ ცხაკაიის რაიონში, რომელიც განაზოგადა განათლების სამინისტრომ. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დახმარება. სკოლების ნორმალურ მუშაობას დიდად უწყობს ხელს საკავშირო დათვალიერება დევიზით „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს—საშუალო განათლება".

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და საღამოს სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს.

რიგ ქალაქებსა და რაიონებში წლების განმავლობაში არ სრულდება მოზრდილთა სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმები (ქ. ქ. თბილისი, ქუთაისი, გორი, ტყიბული, ასპინძა და სხვა რაიონები). მიმდინარე სასწავლო წელს რესპუბლიკაში გეგმა მხოლოდ 97%-ით შესრულდა. ნაცვლად დაგეგმილი 61.000 მოსწავლისა, სკოლებში 59183 ახალგაზრდა სწავლობს.

ჯერ კიდევ დიდია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც ვერ ამთავრებენ 8 კლასს და საშუალო სკოლას. 1979—1980 სასწავლო წელს რესპუბლიკაში 8 კლასის დამთავრების მოწმობა მიიღო მერვეკლასელთა მხოლოდ 87%-მა, ხოლო საშუალო განათლების ატესტატი კი მეთერთმეტე კლასელთა 82,8%-მა. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა: ჯავის რაიონის კვაისის (სკოლა ვერ დაამთავრა 46%-მა), ქ. ცხინვალის დასწრებულ-დაუსწრებელ (53,4%), ქ. სოხუმის დაუსწრებელ (33%), ქ. თბილისის (29%), ქ. ტყიბულის (25%), ვანის (31%), ასპინძის (39%), მაიაკოვსკის (24%), მესტიის (33%), მცხეთის (25%) და სხვა რაიონების სკოლებში.

განთესილ მოსწავლეთა რაოდენობა საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელზე ბევრად დიდია ვანის, მცხეთის, წულუკიძის, მახარაძის, ონის, თერჯოლის რაიონების მოზრდილთა სკოლებში. გასულ წელს რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლებიდან გავიდა 6011 მოსწავლე, მათგან არასაპატიო მიზეზით 1098.

მიუხედავად გარკვეული კლებისა, მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების დიდი რაოდენობით გაცდენის შემთხვევებს ადგილი აქვს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ადიგენის, გარდაბნის, მარნეულის, ლაგოდეხის, ჩოხატაურის, ბოლნისის, მაიაკოვსკის მოზრდილთა სკოლებში, სულ რესპუბლიკაში გაცდენილია 1.285.946 საათზე მეტი.

მათგან არასაპატიო მიზეზით 703.679 გაკვეთილი.

სკოლების ერთ ნაწილში შესუსტებულია მომთხოვნელობა და კონტროლი, სუსტად მუშაობენ პედაგოგიური საბჭოები და მეთოდური გაერთიანებები. ზერელადაა შედგენილი სამუშაო გეგმები, ზოგან სკოლები არ არის დაკომპლექტებული გამოცდილი მასწავლებლებითა და ხელმძღვანელი მუშაკებით. მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ იმაღლებს კვალიფიკაციას, არ ეუფლება ამ სკოლებში მუშაობის სპეციფიკას.

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელზე დაბალია: ასპინძაში (84%), ზესტაფონში (79%), მაიაკოვსკში (77%), ონში (84%), სოხუმში (79,6%), გუდაუთში (87%), სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში (84%) და სხვ.

რესპუბლიკის საღამოს სკოლებში გასულ წელს იმავე კლასებში დატოვებულია 4184 მოსწავლე, მათგან სწავლას აგრძელებს 2154.

მოსწავლეთა იდეურ-ზნეობრივი აღზრდის საქმეში ბევრგან უგულებელყოფილია სკოლისა და საწარმოთა ერთობლივი, აგრეთვე, თვითმართვის ორგანიზაციების მუშაობის მნიშვნელობა, ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ მართლწესრიგის დარღვევისა და დანაშაულის ჩადენის შემთხვევებს. 1979—1980 სასწავლო წელს სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს აფხაზეთის ასს და აჭარის ასსრ რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისის ლენინის რაიონის, ოქტომბრის რაიონის, კიროვის რაიონისა და სხვა რაიონების მოსწავლეებმა.

რიგ სკოლებში კვლავ არღვევენ მოსწავლეთა მიღების წესებს, მიმდინარე სასწავლო წელს რესპუბლიკის სკოლებში სწავლობს 2870-ზე მეტი დროებით უმუშევარი, მათგან 703 არასაპატიო მიზეზით (ქ. თბილისში — 184, აფხაზეთში — 34, აჭარაში — 43, ქუთაისში — 16, ფოთში — 10, წყალტუბოში — 13, ახალციხეში — 52, ბოლნისში — 33, დუშეთში — 22, სამტრედიაში — 51 და სხვ.).

განათლების ადგილობრივი ორგანოების ნაწილი ვერ ახერხებს ყველა წარმოებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელთა აქტიურად ჩაბმას სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობის სწავლისა და შრომის შეთავსებისათვის საჭირო პირობების შექმნაში. ამიტომაცაა, რომ ხელვაჩაურის რაიონის სოფლების ახალშენის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურეხის, მახინჯაურის კოლმეურნეობების, თეთრიწყაროს რაიონის კოდის მეფრინველეობის ფაბრიკისა და სოფელ მანგლისის ფეხსაცმელების ფაბრიკის, ცხინვალის 2667 ავტოსაწარმოს, ქ. ცხინვალის ცხინვალმშენის მე-11 ტრესტის, წყალტუბოს ზონის სოფლების მექვენის, დღნორისის, ქვიტირის სასოფლო საბჭოების, საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკის, საგარეჯოს რაიონის საკონსერვო და რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნების ხელმძღვანელები არ იჩენენ სათანადო დაინტერესებას მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადი განათლებით, არ ზრუნავენ მოზრდილთა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

ცალკეულ სკოლებში ადგილი აქვს სახელმწიფო, შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტებს, მოსწავლეთა შეფასებაში არაობიექტურობასა და ლიბერალიზმს, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის სამუშაოდან მოიხსნა და პასუხისგებაშია მიცემული ადიგენის რაიონის სოფელ უდეს საღამოს საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ა. კაჭკაჭიშვილი, სიყალბის ჩადენისათვის სამუშაოდან განთავისუფლებულია ჩხოროწყუს დასწრებულ-დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორი ნ. ფარცვანია, სუსტი მუშაობისათვის ქ. თბილისის ოქტომბრისა და ლენინის რაიონების საღამოს 27-ე და 31-ე საშუალო სკოლების დირექტორები ნ. არჩვაძე და თ. გოდაბრელიძე.

რესპუბლიკის მოზრდილთა სკოლების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები იმის შედეგიცაა, რომ განათლების ადგილობრივი ორგანოები სათანადოდ არ ხელმძღვანელობენ განათლების სამინისტროს და ზემდგომი ორგანოების მიერ მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადი განათლების საკითხებზე შემუშავებული სადირექტივო დოკუმენტებით; არ იჩენენ პრინციპულ მომთხოვნელობას სკოლების ხელმძღვანელთა მიმართ. მაგალითად, ადგილობრივმა განათლების ორგანოებმა გარდაბნის რაიონის სოფლების მუღანლოს, სართიჭალის, მარტყოფის, საჩხერის რაიონული, ქ. ცხინვალის მოზრდილთა სკოლების დირექტორების მიმართ (ი. ხიდიროვი, ლ. თევზაძე, ი. კოლოშვილი, ა. გურული), რომლებიც არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ, გამოიჩინეს გაუმართლებელი ლმობიერება. ბევრგან ჯეროვნად ვერ იყენებენ პარტიული და საბჭოთა ორგანოების

დახმარებას, არ აფასებენ სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობას. ამ საქმეში არ აბამენ მშრომელთა კოლექტივებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

— თავიანთ მუშაობას საფუძვლად დაუდონ „რესპუბლიკაში მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადი განათლების მიმდინარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1976 წლის 6 აპრილისა და 1980 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებები;

— ყოველმხრივ გააანალიზონ მომუშავე ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის საქმეში გაწეული მუშაობა, განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა დასაძლევად;

— დღენიადაგ იზრუნონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფისათვის. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით დანერგონ სწავლების ახალი ფორმები და რეჟიმი. უზრუნველყონ სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის საქრთველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დასახული ამოცანების განხორციელება;

— გააძლიერონ საშუალო განათლების პროპაგანდა, გადამწყვეტი ზომები მიიღონ მეათე ხუთწლედის ბოლოს საშუალო განათლების არმქონე ყველა ახალგაზრდის სწავლებაში ჩაბმისთვის და უზრუნველყონ მათი სკოლებში შენარჩუნება;

— უფრო გონივრულად გამოიყენონ პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარება, მიაღწიონ სამეურნეო ორგანიზაციებისა და სკოლების ერთობლივ თანამშრომლობას; მოსწავლეთა სწავლისა და აღზრდის საქმეში საწარმოების აქტიურ მონაწილეობას, საორგანიზაციო კომიტეტების „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათლება" მუშაობის გააქტიურებას;

— აღინიშნოს, რომ ზოგან ჯერ კიდევ არ სრულდება საქართვე-

ლოს სსრ განათლების მინისტრის მითითება მოზრდილთა სკოლების სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისა და ჯგუფების ხელმძღვანელებად დღის სკოლების დირექტორების დანიშვნის შესახებ და წინადადება მიეცეს განათლების ადგილობრივ ორგანოებს უზრუნველყონ ამ მითითების შესრულება;

— გააგრძელონ მოზრდილთა სკოლების ქსელის რეორგანიზაცია-რაციონალიზაცია; სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისა და ჯგუფების გაფართოება;

— იზრუნონ ამ ტიპის სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, უზრუნველყონ ისინი თვალსაჩინო და დიდაქტიკური მასალებით. განუხრელად გაატარონ ცხოვრებაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებები მოზრდილთა სკოლების მიერ დღის სკოლების საკლასო ოთახების, კაბინეტ-ლაბორატორიების, თვალსაჩინო მასალების გამოყენების, მათი განათებითა და გათბობით უზრუნველყოფის შესახებ;

— ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების პარალელურად შეისწავლონ მოზრდილთა სკოლების სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისა და ჯგუფების საქმიანობა, შედეგები განიხილონ კოლეგიისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე, ქმედითი ზომები გაატარონ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

2. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორებმა:

— აამაღლონ შინასასკოლო კონტროლის ეფექტიანობა, მტკიცედ იხელმძღვანელონ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1977 წლის 31 ოქტომბრის № 8-მ სადირექტივო წერილით „საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობაზე ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“; აამაღლონ პედაგოგიური კოლექტივების აქტიურობა და პასუხისმგებლობა მათ წინაშე დასახული ამოცანების გადასაჭრელად;

— გადაჭრით გააუმჯობესონ პედაგოგიური საბჭოს, მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებების საქმიანობა, განსაკუთრებული ყურა-

დღება დაუთმონ მოწინავე მასწავლებლების გამოცდილების შესწავლასა და განზოგადებას;

— უფრო მეტად იზრუნონ მოსწავლეთა სამართლებრივი და შრომითი აღზრდისათვის; საწარმოების ხელმძღვანელებთან, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მიაღწიონ იმას, რომ დამრიგებლები ნამდვილად მზრუნველობას უწევდნენ ახალგაზრდობას შრომისა და სწავლის შეთავსების საქმეში.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა მოზრდილთა სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად მუშაობა გააქტიუროს მოწინავე პედაგოგების გამოცდილების შესწავლისა და განზოგადებისათვის.

4. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა გააფართოოს მუშაობა მოზრდილთა სკოლების მე-9—11 კლასების სახელმძღვანელოების მომზადებისა და გამოცემისათვის, აგრეთვე მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილების შესწავლისა და განზოგადებისათვის.

5. გაზეთ „სახალხო განათლების", ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" რედაქციებმა რუბრიკით „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს— საშუალო განათლება" სისტემატურად გამოაქვეყნონ მასალები მოზრდილთა სკოლების მუშაობის საკითხებზე.

6. ცნობად იქნას მიღებული, რომ 1980 წლის 19 ნოემბერს რესპუბლიკის მოზრდილთა სკოლების დირექტორების თათბირ-სემინარზე განხილულ იქნა 1979—1980 სასწავლო წლის შედეგები და დაისახა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

7. აღინიშნოს ქ. ცხინვალის, ასპინძის, ვანის, ბოგდანოვკის, გუდაუთის, მაიაკოვსკის, ჯავის, ლენტეხის, გარდაბნის რაიონების განათლების განყოფილებათა (გამგეები, რ. თადტაევი, დ. ზედგენიძე, ა. ენუქიძე, პ. ვოსკანიანი, ი. შამბა, გ. თავხელიძე, ს. ცხოვრებოვი, ი. ჩანქსელიანი, ა. იმნაძე) არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა მოზრდილთა სკოლებისადმი.

8. ეს ბრძანება დაეგზავნოთ აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფი-

ლებებს, ქ. თბილისის განათლების სამმართველოს, მოზრდილთა სკოლებს. ადგილებზე განიხილონ იგი და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება.

**მინისტრი** **ო. ქინქლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 11 დეკემბრის

# გადაწყვეტილება

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1979—1980 სასწავლო წლის გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

კოლეგია აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ ჩატარებულმა მუშაობამ სასკოლო პედაგოგიური კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის და სახალხო განათლების სისტემის ყველა რგოლში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა სწავლების, აღზრდისა და ცოდნის ხარისხის ამაღლებას, საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელებას, სასკოლო პედაგოგიურ კოლექტივებში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას.

ამასთან ერთად, როგორც რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩატარებულმა საინსპექტორო შემოწმებებმა და გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების ანალიზმა ცხადყო, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ჯერ კიდევ საგრძნობი ნაწილი ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ჯეროვან მომზადებას მოქმედი სასწავლო პროგრამების ფარგლებში. რიგ სკოლებში დაბალ დონეზე დგას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი. მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების საქმეში კვლავ ადგილი აქვს არაობიექტურობას, ლიბერალიზმს, პროტექციონიზმს, ატესტატის საშუალო არითმეტიკული ქულის ხელოვნურად გაზრდისათვის საბოლოო შეფასებების შეგნებულად არასწორი გამოყვანისა და ამ მიზნით საგამოცდო ინსტრუქციის უხეში დარღვევის შემთხვევებს, სერიოზული დარღვევები გამოვლინდა სასკოლო დოკუმენტაციისა და, განსაკუთრებით, საშუალო განათლების ატესტატების წარმოების საქმეში.

ზემოაღნიშნული მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს სათანადო წესრიგის დამყარება მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შემოწმება-შეფასების საქმეში. არ იგრძნობა განათლების განყოფილებების ავანგარდული როლი სასკოლო პედაგოგიურ კოლექტივებში მაღალპრინციპული მომთხოვნელობისა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფეროს შექმნის საქმეში. უფრო მეტიც, თვით რიგი რაიონების განათლების განყოფილებების სარეცენზიო კომისიები უპასუხისმგებლოდ, ლიბერალურად მოეკიდნენ დაკისრებულ მოვალეობას, რის შედეგადაც მათ მიერ განათლების სამინისტროში ოქროს მედლით დასაჯილდოებლად წარმოდგენილი იყო 52 მოსწავლის წერითი ნამუშევარი, რომელთაგან არც ერთი არ იმსახურებდა შეფასება „5"-ს. ნიშანდობლივია ისიც, რომ აღნიშნული მოსწავლეების უმეტესმა ნაწილმა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო.

სასკოლო პედაგოგიურ კოლექტივებში და განათლების განყოფილებებში ჯერ კიდევ გამეფებულ ლიბერალიზმსა და არაობიექტურობაზე და შესაბამისად მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის ცოდნაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებენ ის ფაქტებიც, რომ 877 ოქროს მედლის კანდიდატიდან გამოსაშვებ გამოცდებზე, რომლებსაც ესწრებოდნენ განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, 630-მა ვერ მიიღო შეფასება „5", ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 3775-მა მაღალქულიანი ატესტატის მფლობელმა, მათ შორის 1132—„5" -ქულიანი და 2623—„4, 5"-ქულიანი ატესტატის მფლობელია, ხოლო 19—ოქროს მედალოსანი. ეს უკანასკნელი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ განათლების განყოფილებები შემოფარგლული არიან ოქროს მედლის კანდიდატთა და მაღალქულიანი ატესტატების მფლობელთა მხოლოდ წერითი საგამოცდო ნამუშევრების ზერელე განხილვით და არა აქვთ დაწესებული სისტემატური კონტროლი მათ ყოველდღიურ სწავლებაზე, არ ესწრებიან ზეპირ გამოცდებს, ფორმალურად ეკიდებიან სასკოლო მუშაობის ამ მეტად მნიშვნელოვან უბანს.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ანალიზმა ნათლად გამოამჟღავნა, რომ სკოლადამთავრებულთა ჯერ კიდევ დიდ ნაწილს სერიოზული ხარვეზები გააჩნია პროგრამული მასალის ცოდნაში, განსაკუთრებით მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ბიოლოგიასა და ისტორიაში. ამასთან ერთად, განათლების სამინისტროს სპეციალური კომისიების მიერ ჩატარებული უმაღლესი სასწავლებლების მისაღები საგამოცდო კომისიების მუშაობის შემოწმებით გამოვლინდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის ზოგიერთი საგნის საგამოცდო კომისიები სათანადო პასუხისმგებლობით და კვალიფიციურად არ მოეკიდნენ მინდობილ საქმეს, მათი წევრების ერთი ნაწილი საფუძვლიანად არ იცნობდა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის პროგრამებს და, კერძოდ, იმ ამოცანებისა და მაგალითების ტიპებს, რომლებიც სკოლაში განიხილება, რამაც განაპირობა საგამოცდო ბილეთებში, რიგ შემთხვევებში, არაპროგრამული საკითხების შეტანა, საკითხების არათანაბარი განაწილება, ბილეთების სხვადასხვა სიძნელე.

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში წლების განმავლობაში დამკვიდრებულმა ასეთმა განსხვავებამ სასკოლო პრაქტიკასა და მისაღები გამოცდების მოთხოვნებს შორის ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა კერძო რეპეტიტორობის განვითარებისათვის და საგრძნობი ზიანი მოუტანა სკოლისა და მასწავლებლის ავტორიტეტს, სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სწორად წარმართვის საქმეს.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სკოლების სამმართველოს ცნობა „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1979—1980 სასწავლო წლის გამოსაშვები და საშუალო სკოლადამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ“ დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, რომლებმაც:

1. 1. სკოლების სამმართველოს ცნობაზე დაყრდნობით საფუძვლიანად შეისწავლონ და გააანალიზონ 1979—1980 სასწავლო წლის

გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგები, განიხილონ ისინი კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე. დასახონ და განახორციელონ ღონისძიებები გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

1. 2. აამაღლონ სკოლის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების პერსონალური პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეში, გადამჭრელი ბრძოლა გამოუცხადონ ატესტატის საშუალო არითმეტიკული ქულის ხელოვნურად გაზრდის მიზნით მიმდინარე, სემესტრული და წლიური ნიშნების არასწორად გამოყვანის შემთხვევებს, რაც ხელს უწყობს ოქროს მედლისა და მაღალქულიანი ატესტატის უსაფუძვლოდ მაძიებელთა მომრავლებას, დეზორგანიზაცია შეაქვს კურსდამთავრებულთა პროფესიულ ორიენტაციაში;

1. 3. განიხილონ სასკოლო საგამოცდო და სარაიონო სარეცენზიო კომისიების იმ წევრთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს მათზე დაკისრებულ მოვალეობას და საგამოცდო ნაშრომების გასწორებისას გამოავლინეს არაკვალიფიციურობა, უპრინციპობა და ლიბერალიზმი. მკაცრი ზომები მიიღონ იმ მასწავლებელთა მიმართ, რომელთა ხუთოსანმა კურსდამთავრებულებმა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება დაიმსახურეს, მათთვის კვირეული დატვირთვის განსაზღვრისას გაითვალისწინონ დამამთავრებელ კლასებში საათების მიცემის მიზანშეწონილობა;

1. 4. განიხილონ ცნობაში აღნიშნული სკოლების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხი და მიღებული ზომების შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს 1981 წლის 1-ელ თებერვლამდე;

1. 5. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე შეისწავლონ სკოლების სამმართველოს ცნობაში აღნიშნულ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, გააანალიზონ ცალკეულ საგნებში პროგრამული მასალის ათვისების მდგომარეობა და განხილვის შედეგები აცნობონ განათლების სამინისტროს 1981 წლის 1-ელ ივნისამდე.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს (ამხ. დ. ჩხიკვიშვილი);

2. 1. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების რექტორებმა მეტი ყურადღება და მომთხოვნელობა გამოიჩინონ მისაღები საგნობრივი კომისიების მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური მუშაკებით დაკომპლექტების საქმეში. მისაღებ კომისიებში მოიწვიონ სპეციალისტები, რომლებიც საფუძვლიანად იცნობენ საშუალო სკოლის პროგრამებს, სახელმძღვანელოებს, სასკოლო კურსის ტიპურ ამოცანებს, მაგალითებსა და სავარჯიშოებს;

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები საგამოცდო ბილეთებისა და ამოცანების შედგენაში აქტიური მონაწილეობა მიაღებინონ სკოლის პრაქტიკოს მასწავლებლებს. არ დაუშვან არათანაბარი მოცულობისა და სირთულის ბილეთების შედგენა, ბილეთებში არაპროგრამული საკითხების შეტანა. ამოცანებისა და მაგალითების შერჩევისას ორიენტაცია აიღონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დამტკიცებულ სახელმძღვანელოებსა და ამოცანათა და სავარჯიშოთა კრებულებში მოცემულ ამოცანებზე, მაგალითებზე, სავარჯიშოებზე.

3. ლაგოდეხის, მცხეთის, თელავის, თიანეთის, წითელწყაროს, ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებების გამგეებმა — ე. ხმალაძემ, თ. აბესაძემ, ა. თვალიაშვილმა, ვ. ობგაიძემ, მ. ბილიაშვილმა, რ. შავგულიძემ მოსწავლეთა მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი კონტროლისათვის ,მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში დაშვებული ლიბერალიზმისათვის და დაბალი მომზადების მქონე კურსდამთავრებულთა გამოშვებისათვის განიხილონ სკოლის დირექტორების: ვ. ჭყოიძის (ლაგოდეხის რაიონის ცოდნისკარის საშუალო სკოლა), გ. თალაკვაძის (მცხეთის რაიონის ზაჰესის საშუალო სკოლა), ე. სეხნიაშვილის (თელავის რაიონის ნაფარეულის საშუალო სკოლა), გ. აქიმიშვილის (თიანეთის საშუალო სკოლა), შ. ქადაგიძის (წითელწყაროს 1-ლი საშუალო სკოლა), ა. სხირტლაძის (ლაგოდეხის 1-ლი საშუალო სკოლა), თ. თევდორაშვილის (ყვარლის რაიონის შილდის 1-ლი საშუალო სკოლა) დაკავებულ თანამდებობაზე დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი და განათლების სამინისტროში წარმოადგინონ ადგილობრივ ხელმძღვანელებთან შეთანხმებული წინადადებები 1981 წლის 1-ელ თებერვლამდე.

4. მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში დაშვებული ლიბერალიზმისათვის და მასწავლებელთა მუშაობაზე არასაკმარისი კონ-

ტროლისათვის სკოლების დირექტორებს: ვ. ზექალაშვილს (ქ. გორის მე-4 საშუალო სკოლა), ი. გენძეხაძეს (ქ. ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლა), რ. კიკოლაშვილს (ქ. ქუთაისის მე-19 საშუალო სკოლა), რ. მხეცაძეს (ტყიბულის მე-6 საშუალო სკოლა), ზ. ესებუას და ვ. გიორგაძეს (ახმეტის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლები), ო. გახოკიას (გეგეჭკორის რაიონის მუხურჩის საშუალო სკოლა), ჯ. სანებლიძეს (ქარელის 1-ლი საშუალო სკოლა), ი. ბუაჩიძეს (ორჯონიკიძის 1-ლი საშუალო სკოლა), მ. ჯიქიძეს, გ. კოპალეიშვილს და თ. მიქელაძეს (სამტრედიის 1-ლი, მე-2 და მე-3 საშუალო სკოლები), ლ. აბრამიშვილს (სიღნაღის 1-ლი საშუალო სკოლა), გ. ლომაშვილს (წითელწყაროს მე-2 საშუალო სკოლა), ლ. გავაშელს და ი. დოლიძეს (ჩოხატაურის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლები) გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

5. მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში დაშვებული დარღვევებისათვის ი. ქარქაშაძეს (ტყიბულის 1-ლი საშუალო სკოლა), ქ. კიკნაძეს (ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლა), ა. გვაზავას (ქ. ქუთაისის 32-ე საშუალო სკოლა), ა. პაპიძეს (ჭიათურის მე-5 საშუალო სკოლა), მ. ბათხოიძეს და ა. ბახტურიძეს (ახმეტის რაიონის ზემო და ქვემო ალვანის საშუალო სკოლები), გ. მარიამიძეს (გორის რაიონის მერეთის საშუალო სკოლა), გ. ღლონტს, გ. ზუბიტაშვილს, დ. სეფაშვილს (ყვარლის მე-2, მე-3 და გავაზის საშუალო სკოლები), ბ. ჭილაძეს (მახარაძის მე-3 საშუალო სკოლა), ა. გრიგოლიშვილს (ონის რიონის (მახარაძის მე-3 საშუალო სკოლა), ა. გრიგოლიშვილს (ონის რაიონის ნაბაკევის საშუალო სკოლა), ჯ. ქავთარაძეს (საჩხერის რაიონის არგვეთის საშუალო სკოლა), ვ. კოლელიშვილს (თელავის მე-2 საშუალო სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური.

6. მიღებულ იქნას ცნობად, რომ გეგეჭკორის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი მ. მამარდაშვილი, ხაშურის რაიონის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი ა. ნოზაძე, ყვარლის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი მ. ხვთისიაშვილი, ორჯონიკიძის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი შ. ჩხიკვაძე, ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი მ. ხალვაში, თელავის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი ა. წიკლაური და ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილების გამგე გ. ლობჟანიძე განთავისუფლებული არიან დაკავებული თანამდებობიდან.

7. დაქვემდებარებული საშუალო სკოლების მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის, რამაც გამოიწვია უხეში დარღვევები სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში განათლების განყოფილებათა გამგეებს ამხ. ამხ. ა. ბაკურაძეს (ახმეტის რაიონი), ა. ხუროძეს (გეგეჭკორის რაიონი), კ. ძნელაძეს (სამტრედიის რაიონი) გამოეცხადოთ საყვედური, ხოლო ამხანაგებს: გ. შაქარაშვილს (კასპის რაიონი), გ. ქინქლაძეს (ლანჩხუთის რაიონი), შ. ლონლაძეს (ორჯონიკიძის რაიონი), გ. აბჟანდაძეს (საჩხერის რაიონი) და მ. ბილიაშვილს (წითელწყაროს რაიონი) მიეცეთ შენიშვნა.

კოლეგიაზე გამოუცხადებლობის გამო ამხანაგების რ. შავგულიძის (ყვარლის რაიონი) და შ. ლაბაძის (ხაშურის რაიონი) საკითხი განხილულ იქნას პერსონალურად.

8. აღინიშნოს გორის, ზესტაფონის, მარნეულის, მახარაძის, მცხეთის, სიღნაღის, თელავის, თერჯოლის, თეთრიწყაროს, ჩოხატაურისა და წალენჯიხის რაიონების, ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებათა და თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს (ამხ. ამხ. ა. ჩხეიძე, გ. სარალიძე, ნ. ნაბიევა, მ. ხავთასი, თ. აბესაძე, რ. ბეჟაშვილი, ა. თვალიაშვილი, ა. ჯაფარიძე, ლ. ჯინჯიხაძე, მ. კეკელიძე, ვ. ბელქანია, ვ. ყავლაშვილი, ლ. ჩიქვანაია) არასათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი დაქვემდებარებული სკოლების მუშაობაზე მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შემოწმება-შეფასების საქმეში.

9. აღნიშნული გადაწყვეტილების შინაარსი და სკოლების სამმართველოს ცნობა „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1979—1980 სასწავლო წლის გამოსაშვები და კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ“ გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (ამხ. ნ. შველიძე) და დაიბეჭდოს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში (ამხ. ე. ქურციკიძე).

10. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე განახორციელოს სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი).

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი** **ო. ქინქლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ც ნ ო ბ ა

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1979—1980 სასწავლო წლის გამოსაშვები და კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

1979—1980 სასწავლო წელს სკოლების სამმართველოს მიერ სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონის გაუმჯობესებისათვის გატარებული ღონისძიებებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წერილის — რესპუბლიკის ყველა მასწავლებლისა და სახალხო განათლების სისტემის მუშაკისადმი „სასკოლო ცხოვრებაში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრისათვის უკომპრომისო ბრძოლის შემდგომი გაძლიერების შესახებ“ შედეგად გასული, 1979—1980 სასწავლო წელი რესპუბლიკის სკოლებმა, ძირითადად, ორგანიზებულად დაიწყეს და საშუალო განათლების ატესტატის მისაღები გამოცდები საგამოცდო ინსტრუქციის შესაბამისობით ჩაატარეს. სკოლების პედაგოგიური კოლექტივების დიდი ნაწილი პასუხისმგებლობით მოეკიდა გამოსაშვები გამოცდების მაღალ დონეზე ჩატარებისა და მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეს. გამოცდებზე შექმნილი იყო მშვიდი, ნორმალური ატმოსფერო მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასებისათვის.

სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა საკმაო მუშაობა გასწიეს ორგანიზატორული საქმიანობის, სკოლების პედაგოგიური კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის, გაატარეს საჭირო ზომები სკოლების მუშაობაში არსებული ფორმალიზმისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში დაშვებული ლიბერალიზმის აღმოფხვრისათვის, გააძლიერეს კონტროლი და დახმარება მასწავლებლებისადმი. მასწავლებელთა უმრავლესობა სწავლებაში ფართოდ ნერგავდა სიახლეებს, უნარიანად იყენებდა თვალსაჩინოებასა და სასწავლო-ტექნიკურ საშუალებებს, ატარებდა ლაბორატორიულ და სხვა სახის პრაქტიკულ სამუშაოებს, აღწევდა მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის ათვისებას.

ამის შედეგად კურსდამთავრებულთა გარკვეულმა ნაწილმა, განსაკუთრებით, ოქროს მედლით და ქების სიგელით დაჯილდოებულებ-

ში, აგრეთვე 5 და 4,5 ქულიანი ატესტატების მფლობელებმა მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა, საფუძვლიანი ცოდნა გამოავლინეს.

ამასთან, როგორც რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლით და საშუალო განათლების ატესტატისა და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების ანალიზით დადასტურდა, რიგ სკოლებში ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, საჭირო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა ცოდნის ხარისხს, მის სიღრმესა და სიმტკიცეს, სწავლების სისტემატურობასა და შეგნებულობას. ზოგიერთ სკოლაში სუსტად მიმდინარეობს ბრძოლა მოსწავლეთა შეფასების საქმეში დამკვიდრებული ისეთი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, როგორიცაა: ლიბერალიზმი, პროტექციონიზმი, მაამებლობა, უპასუხისმგებლობა, გულგრილობა, პირადი ეგოისტური დამოკიდებულება. სკოლების ერთი ნაწილის ხელმძღვანელებმა ვერ უზრუნველყვეს გამოცდებისათვის სათანადო მომზადება, პედაგოგიური კოლექტივების მობილიზაცია სკოლის ცხოვრებაში ამ უაღრესად პასუხსაგები და მნიშვნელოვანი ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

ადგილი ქონდა წერით გამოცდებზე მოსწავლეთა და მასწავლებელთა დაგვიანებებს. თეთრიწყაროს რაიონის სოფელ მანგლისის ქართული საშუალო სკოლის (დირექტორი ა. ჯმუხაძე) მე-10 კლასის 3 მოსწავლე არ იქნა დაშვებული ქართული ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდებზე დაგვიანების გამო. ყვარლის რუსული საშუალო სკოლის (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გ. ბუჯიაშვილი) მათემატიკის მასწავლებელმა ლ. თიანელაშვილმა ალგებრა და ანალიზის საწყისების წერით გამოცდაზე 20 წუთით დაიგვიანა. კომისიის წევრი — დაუსწრებელი სკოლის მეთოდისტი ნ. ხუბულოვა 1 საათისა და 30 წუთის დაგვიანებით გამოცხადების გამო გამოყვანილ იქნა კომისიის შემადგენლობიდან. წერითს გამოცდებზე დაგვიანებით გამოცხადების შემთხვევებს ადგილი ქონდა, აგრეთვე, ყვარლის 1-ელ და თელავის რუსულ საშუალო სკოლებშიც.

სრულიად შეუწყნარებელია ის ფაქტი, რომ რიგ სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა ლოგიკური აზროვნების ფორმირებასა და შემოქმედებითი მუშაობის უნარ-ჩვევების განვი-

თარებას, რის გამოც მოსწავლეთა ერთ ნაწილს არ გააჩნია საკუთარი ძალების რწმენა და ცდილობს „შპარგალკების“ გამოყენებას, ერთმანეთისაგან ლისახვევას. ასეთ აღმაშფოთებელ ფაქტებს ადგილი ქონდა ახალქალაქის რუსულ (დირექტორი ა. აზარიანი) და ყვარლის 1-ლ საშუალო (დირექტორი მ. ხვთისიაშვილი) სკოლებში. უფრო მეტიც, „შპარგალკების“ გამოყენება ამ სკოლების ოქროს მედლის კანდიდატებმაც კი სცადეს ალგებრა და ანალიზის საწყისებში. ანალოგიურ დარღვევებს ადგილი ქონდათ ქ. თბილისის სკოლებშიც (ოქტომბრის და ორჯონიკიძის რაიონები).

ზოგიერთი სკოლის საგამოცდო კომისიების წევრები არაკეთილსინდისიერად მოეკიდნენ მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებას, არ განახორციელეს მკაცრი და სამართლიანი მოთხოვნები: ისინი ყოველთვის როდი ამჩნევდნენ მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს, უფრო მეტიც, უსაფუძვლოდ იცავდნენ იმ მოსწავლეთა ნამუშევრებს, რომლებსაც ზემდგომ ინსტანციებში ჩამოაკლეს ნიშანი, და, გამოდიოდნენ რა მათ ქომაგებად ,იჩენდნენ გადაჭარბებულ დაინტერესებას — მშობელთა თანდასწრებით ცდილობდნენ, გაემართლებინათ მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომები. ამ მხრივ აღსანიშნავია დმანისის რუსული, გეგეჭკორის მე-2, მცხეთის რაიონის ზაჰესის და ქ. თბილისის 142-ე საშუალო სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების ე. ყავლელაშვილის, ზ. ს. გალდავას, გ. შ. ჩხეიძის, ნ. რუხაძისა და სხვათა არასწორი მოქმედება.

რიგი განათლების განყოფილებებისა და სკოლების ხელმძღვანელები სათანადოდ ვერ ერკვევიან განათლების სამინისტროს მიერ ბოლო ხანებში გატარებულ ღონისძიებებში და ვერ უზრუნველყოფენ იმ დიდი პირადი პასუხისმგებლობის შესრულებას, რაც აკისრიათ სკოლის პედაგოგიურ კოლექტივებსა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაკებს სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეში. ამის შედეგად ცალკეულ სკოლებში უმცროსი კლასებიდანვე ადგილი აქვს მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ხელოვნურად ამაღლებას, მათთვის დაუმსახურებელი მაღალი ნიშნების დაწერას, რაც განსაკუთრებულად თავს იჩენს კურსდამთავრებულთა ცოდნის შეფასებაში. ამაზე მოწმობს ის ფაქტი, რომ გასულ სასწავლო წელს ოქ-

რის მედლის 877 კანდიდატიდან 630-მა ვერ მიიღო ნიშანი „5“ და გამოეთიშა ოქროს მედლის კანდიდატთა რიცხვს. ამას კი მოჰყვა მშობლების გულისწყრომა და საჩივრები ზემდგომ ორგანოებში. ამ მხრივ განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ქ. ქუთაისის (გამგე ვ. ყაველაშვილი) სკოლებში შექმნილი მდგომარეობა, სადაც ოქროს მედლის 15 კანდიდატიდან მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა) ვერც ერთმა ვერ დაიმსახურა ნიშანი „5“. გეგეჭკორის რაიონის (გამგე ა. ხუროძე) ოქროს მედლის 9 კანდიდატიდან ცხრავემ ალგებრა და ანალიზის საწყისებში წერით გამოცდაზე მიიღო ნიშანი „4“. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში კი განათლების სამინისტროს კომისიამ მედლის ყველა კანდიდატს დააკლო ნიშანი. ანალოგიური შემთხვევები აღინიშნა ამბროლაურის, კასპის, ლენტეხის, მცხეთის, თერჯოლის ,ხაშურის, ცაგერის, წალკის, წითელწყაროს რაიონებში (განყოფილების გამგეები: ს. ცირეკიძე, გ. შაქარაშვილი, ი. ჩანქსელიანი, თ. აბესაძე, ა. ჯაფარიძე, შ. ლაბაძე, დ. კოპალიანი, რ. მელტონიანი, მ. ბილიაშვილი), ხოლო ქ. გორის, ახალქალაქის, ბოლნისის, ზესტაფონის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღის, თეთრიწყაროს (განყოფილების გამგეები: ნ. კახნიაშვილი, ა. გაბრიელიანი, ე. გობეჯიშვილი, მ. სარალიძე, რ. შავგულიძე, გ. ლობჟანიძე, რ. ბეჟაშვილი, ლ. ჯინჯიხაძე) რაიონების ოქროს მედლის 104 კანდიდატიდან მედლით დაჯილდოვდა მხოლოდ 11.

მთელ რიგ რაიონებში საგრძნობლად იკლო მაღალქულიანი ატესტატების მფლობელთა რიცხვმა, მაგალითად: ზნაურის რაიონის (გამგე ი. გაგლოევი) 214 მეათე კლასელიდან მაღალქულიანი ატესტატი მიიღო მხოლოდ 5-მა, ჯავის რაიონის (გამგე ს. ცხოვრებოვი) 212-დან — 7-მა, ონის რაიონის (გამგე — გ. დგვარელი) 241-დან — 10-მა, ხობის რაიონის (გამგე შ. ხარებავა) 534-დან 15-მა. ზუგდიდის რაიონის 1100-დან — 22-მა, გუდაუთის რაიონის (გამგე ი. შამბა) 866-დან — 21-მა, ხულოს რაიონის (გამგე ო. ბოლქვაძე) 814-დან — 16-მა, შუახევის რაიონის (გამგე რ. ქათამაძე) 553-დან— 22-მა.

კვლავ დადგენილია ატესტატის საშუალო არითმეტიკული ქულის ხელოვნურად გაზრდის მიზნით მიმდინარე, მეოთხედური და წლიური შეფასების ნიშნების შეგნებულად არასწორი გამოყვანის შემთხვევები, რის შედეგადაც მედლის კანდიდატებად წამოყენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შულ იქნენ ისეთი მოსწავლეები, რომლებსაც ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში წლიურ ნიშნებად ეწერათ „ხუთები" „ოთხების" ნაცვლად.

ახმეტის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორმა ე. გიორგაძემ განათლების განყოფილებას თავდაპირველად წარუდგინა 2 მედლის კანდიდატი, ხოლო ქართული ენისა და ლიტერატურის წერითი გამოცდის ჩატარების შემდეგ მათი რიცხვი 5-მდე გაზარდა, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის მ. ჩაჩავას რუსულ ენაში წლიურ ნიშნად ეკუთვნოდა „4". თიანეთის საშუალო სკოლის (დირექტორი ზ. აქიმიშვილი) ოქროს მედლის კანდიდატებს თ. ბაინდურაშვილს და ლ. უშიკიშვილს მე-9 კლასში მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და ხაზვაში, ნაცვლად „ოთხებისა" უწერიათ „ხუთები". ცაგერის საშუალო სკოლის (დირექტორი პ. ცვარიანი) ოქროს მედლის კანდიდატებს ნ. ხეცურიანს, კ. ხვადაგიანს, ი. ცხვედიანს გერმანულ ენაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში და გეომეტრიაში (თითო ან ორ საგანში) ხელოვნურად აქვთ აწეული საბოლოო ნიშნები. ჩოხატაურის რაიონის განახლების საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. დოლიძე) მედლის კანდიდატს თ. ყაჭეიშვილს ალგებრა და ანალიზის საწყისებში წლიურ ნიშნად უწერია „5", ნაცვლად „4"-ისა. ყვარლის რაიონის (გამგე რ. შავგულიძე) გავაზის, შილდის 1-ლი, ყვარლის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლების (დირექტორები: დ. სეფაშვილი, თ. თევდორაშვილი, მ. ხვთისიაშვილი, გ. ღლონტი) ოქროს მედლის კანდიდატების თ. აბულაძის, ნ. მამულაშვილის, ფ. სესიაშვილის, ა. სესიაშვილის, მ. ბედიანიძის წლიური ნიშნები რუსულ ლიტერატურაში, ზოგად ბიოლოგიასა და გერმანულ ენაში (თითო ან ორ საგანში) ხელოვნურად არის ამაღლებული. ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის (დირექტორი ვ. ჭყოიძე) საშუალო სკოლის მედლის კანდიდატს ა. ხაბეიშვილს მე-9 კლასში შრომით სწავლებაში და მე-10 კლასში ისტორიაში, ფიზიკაში, რუსულ ენაში, ნაცვლად „ოთხებისა" უწერია „ხუთები". სიღნაღის საშუალო სკოლის (დირექტორი ლ .აბრამიშვილი) მედლის კანდიდატს რ. დარჩიაშვილს მე-10 კლასში წლიურ ნიშნებად რუსულ ენასა და მათემატიკაში ეკუთვნის „ოთხები" და უწერია „ხუთები". თელავის რაიონის ნაფარეულის საშუალო სკოლის (დირექტორი ე. სეხნიაშვილი) მედლის კანდიდატს მ. კირვალიძეს მე-9 კლასში ქიმიაში, მშობლიურ ლიტე-

რატურაში, უახლეს ისტორიაში, ინგლისურ ენაში და დაწყებით სამხედრო მომზადებაში მიმდინარე შეფასების ნიშნები ამოფხეკილი აქვს და უწერია „ხუთები“, აღნიშნულ მოსწავლეებს სკოლების სამმართველოს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად უარი ეთქვათ ოქროს მედლით დაჯილდოებაზე.

ზოგიერთი სკოლის მოსწავლეთა იდეურ-ზნეობრივი აღზრდისა და ცოდნის დაბალი დონე განპირობებულია სკოლებისადმი არაკვალიფიციური ხელმძღვანელობით, მასწავლებელთა ერთი ნაწილის არაორგანიზებულობით, მათ მიერ პედაგოგიური ეთიკის ნორმების დარღვევით. ამის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს თელავის მე-4 საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი დ. დოლენჯაშვილი, რომელმაც განაწყენების ნიადაგზე მე-10 კლასის 7 წარჩინებულ მოსწავლეს, მათ შორის მედლის კანდიდატს მ. დავითაშვილსაც, მიმდინარე შეფასებისას (28 თებერვალს) დაუწერა ნიშანი „2“, კასპის მე-2 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა დ. თათარაშვილმა მე-4 მეოთხედის ბოლოს 12 მეათეკლასელის ცოდნა შეაფასა „2“-ზე, რადესაც ამ მოსწავლეებს არც ერთ წინა მეოთხედში არ ქონიათ 3-ზე დაბალი შეფასება.

რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთი ნაწილის დირექტორები, მათი მოადგილეები და კლასის ხელმძღვანელები კვლავ უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სასკოლო დოკუმენტების წარმოებას, უხეშად არღვევენ საშუალო განათლების ატესტატების შევსების თაობაზე სსრ კავშირის განათლების მინისტრის 1975 წლის 14 ოქტომბრის № 137 ბრძანებით დაწესებულ მოთხოვნებს. შეცდომით შეაქვთ კურსდამთავრებულის სახელი, გვარი, მამის სახელი, დაწესებული რაოდენობის მიხედვით არ აწერენ ხელს მასწავლებლები ან აწერენ, მაგრამ სხვადასხვა ფერის ტუშით, მელნით, პასტით. ადგილი აქვს ამოფხეკებს და გადასწორებებს, არ იკითხება ბეჭედი და სხვ. აღნიშნულის გამო 1978 და 1979 წლებში შეიცვალა 1257 ცალი ატესტატი. მათ შორის ქუთაისიდან — 47, რუსთავიდან — 38, ახალქალაქიდან — 38, ბოგდანოვკიდან — 40, ბოლნისიდან — 41, გარდაბნიდან — 23, გურჯაანიდან — 26, ზუგდიდიდან — 34, ლაგოდეხიდან — 20, მარნეულიდან — 40, თეთრიწყაროდან — 24, წალკიდან — 65, წითელწყაროდან — 29, ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონიდან — 61, ლენინის რაიონიდან —

49 (გამგეები: ვ. ყავლაშვილი, ზ. როგავა, ა. გაბრიელიანი, პ. ვოსკანიანი, ე. გობეჯიშვილი, ა. იმნაძე, ვ. კახაბერი, გ. ლობჟანიძე, გ. ნაბიევა, ა. ჯაფარიძე, რ. მელტონიანი, მ. ბილიაშვილი, რ. გახელაძე, რ. გურგენიძე).

ეს არის მიზეზი იმისა, რომ 1980 წლის ივლისის თვეში სსრ კავშირის განათლების სამინისტროს თხოვნით მიმართა ქ. მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელმა საქართველოს რესპუბლიკის 52-მა აბიტურიენტმა — დაემტკიცებინათ საბუთების სინამდვილე საშუალო განათლების შესახებ. 1980 წლის ივლისში ქ. ქუთაისის მე-9 სკოლამ (დირექტორი ლ. ფედიანინა) ნ. ი. ჯაშიტაშვილზე გასცა ატესტატი № 122821, რომელსაც ხელს არ აწერენ დირექტორი, მისი მოადგილე და ერთი მასწავლებელი, ხოლო ამავე სკოლის კურსდამთავრებულის ო. ავალიანის ატესტატში ნიშნები შემოკლებულადაა შეტანილი. შემოკლებულად არის შეტანილი ნიშნები ქ. თბილისის 163-ე სკოლის (დირექტორი ნ. ტარიელაშვილი) მიერ კურსდამთავრებულ კ. გ. ბარაკაძეზე გაცემულ ატესტატში, არ იკითხება ბეჭედი და აკლია ერთი მასწავლებლის ხელის მოწერა.

ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის საშუალო სკოლის (დირექტორი ფ. ანთია) მიერ ს. ჯანჯღავაზე გაცემულ ატესტატში გვარი შეცდომით იყო შეტანილი და არ იკითხებოდა ბეჭედი, რის გამოც აბიტურიენტ ს. ჯანჯღავას მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის მიმღებმა კომისიამ უარი უთხრა საბუთების მიღებაზე.

ანალოგიური დარღვევებით არის შევსებული საშუალო განათლების ატესტატები ქ. თბილისის მე-6, მე-15, 32-ე, 43-ე, 47-ე, 48-ე, 50-ე, 55-ე, 56-ე, 63-ე, 116-ე, 143-ე, 161-ე (დირექტორები: ვ. მჟავანაძე, ა. მათითაშვილი, ნ. დევდარიანი, ვ. ნემსიწვერაძე, თ. ნიკოლაიშვილი, რ. სურგულაძე, ა. გელაშვილი, ზ. ვარდიაშვილი, ო. ლომიძე, ე. ცერცვაძე, მ. ხუციშვილი, მ. ფილიშვილი, ზ. ხავთასი, ლ. მებურიშვილი, ე. ჯაფარიძე) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

რესპუბლიკის რიგი რაიონების (ქალაქების) განათლების სარაიონო (საქალაქო) კომისიები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სკოლებიდან წარმოდგენილ ოქროს მედლის კანდიდატთა წერითი ნამუშევრების გასწორება-შეფასების საქმეს, არ ახორციელებენ სამართლიან მოთხოვნებს, არ ამჩნევენ მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს და, იჩენენ რა უსულგულობას მინდობილი საქმისადმი, განათლების

სამინისტროში გზავნიან ისეთ ნამუშევრებს, რომლებიც არ იმსახურებენ „5“-ზე შეფასებას. მედლის კანდიდატთა წერითი ნამუშევრების ლიბერალურად შეფასების შემთხვევებს ადგილი ქონდა: ქართულ ენასა და ლიტერატურაში — ამბროლაურის (ც. მიქიაშვილი, შ. ჯინჭარაძე, პ. დოხნაძე), ახმეტის (ნ. აბრამიშვილი, ხ. ხანგოშვილი, ე. ჯუგაშვილი), ბორჯომის (მ. მურმანაშვილი, გ. ზედგენიძე, ა. ხაჩიძე, ა. გონგლაძე), გეგეჭკორის (ლ. დანელია შ. ჯიშკარიანი, მ. გაბუნია, ვ. ხუხუა), ლაგოდეხის (მ. ნ. ხობაშვილი, ნ. ჭიპაშვილი, ც. კურტანიძე), ლანჩხუთის (ფ. ბურკაძე, მ. კვერენჩხილაძე, მ. ჩხარტიშვილი), მესტიის (ი. მარგიანი, ც. ჩართოლანი, ზ. შამფრიანი, ფ. ფარჯიანი), ორჯონიკიძის (მ. კუპრაძე, ნ. ყიფშიძე, ე. ბუაჩიძე), სამტრედიის (ლ. ქანთარია, რ. არველაძე, ვ. თევზაძე), თელავის (დ. გამტკიცელაშვილი, ნ. კუხიანიძე, ე. ყურშიტაშვილი), წითელწყაროს (ზ. გოგილაშვილი, შ. ბოქოლიშვილი, ე. დარჩიაშვილი, ა. თეთვაძე, მ. ლაპიაშვილი) რაიონებში და ქ. ფოთში (გ. ხოჭოლავა, პ. ნაცვლიშვილი, თ. გოგიჩაიშვილი, ლ. კოლოტაშვილი, გ. კვინჩიანი); რუსულ ენასა და ლიტერატურაში — ქ. ქუთაისის ლენინის (ნ. დოლაბერძე, გ. სიხარულიძე, ს. ალფეროვა), დმანისის (მ. ისმაილოვი, მ. აბდულაევი, ვ. ვალიევი), ახალქალაქის (ა. გაბრიელიანი, რ. ორჩიანი, კარაპეტიანი), ყვარლის (ლ. სუროვა, ვ. მალაშხია), თელავის (ვ. გოლოვანოვი, ე. პახომოვა, მ. ფომენკო), თეთრიწყაროს (ლ. მჭედლიშვილი, ე. ხარატიშვილი, დ. ქიზოვი) რაიონებში; სომხურ ენასა და ლიტერატურაში — ასპინძის (ს. პოლოსიანი, ჰ. მომჯიანი), ახალქალაქის (ვ. რუსტაკიანი, ს. ენგიბარიანი, ა. პანკრატიანი), ახალციხის (ე. მუტაფიანი, ს. პოლოსიანი), ბოგდანოვკის (ა. მახტესიანი, ს. კარსლიანი, ს. მუკერტჩიანი) რაიონებში; ალგებრა და ანალიზის საწყისებში — ჩოხატაურის (ნ. კუტუბიძე, გ. კვაჭანტირაძე, რ. წიტაიშვილი), წითელწყაროს (ე. ყოჩიაშვილი, ნ. ხუციშვილი, ვ. გონაშვილი), ლაგოდეხის (რ. ხაჩიძე, ა. შუბითიძე, ა. გელაშვილი, ა. გაგნიძე), ლანჩხუთის (შ. ნაჭყებია, ვ. ჯორბენაძე, გ. გუხუნაიშვილი), გეგეჭკორის (ა. კორთხონჯია, გ. პატარაია, ნ. ფოცხორია), მესტიის (ქ. ზურაბიანი, ი. კვიციანი, დ. გურჩიანი, ნ. გაბრიჭიძე) რაიონებში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ოქროს მედლით დასაჯილდოებელ კანდიდტთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების განმხილველმა კომისიებმა 299 კანდიდატიდან ნიშანი დააკლო 52-ს. მათ შორის: გეგეჭკორის რაიონის (გამგე ა. ხუროძე) განათლების

განყოფილების მიერ წარმოდგენილი 9 ოქროს მედლის კანდიდატიდან — 9-ს; ახალქალაქის (გამგე ა. გაბრიელიანი) 9-დან — 6-ს; ლაგოდეხის (გამგე გ. ლობჟანიძე) 9-დან — 5-ს; სამტრედიის (გამგე კ. ძნელაძე) 6-დან — 4-ს; წითელწყაროს (გამგე მ. ბიღიაშვილი) 2-დან — 2-ს; ჩოხატაურის (გამგე მ. კეკელიძე) 4-დან — 2-ს; ასპინძის (გამგე დ. ზედგენიძე) 4-დან — 2-ს; ახალციხის (გამგე ე. კოპაძე) 5-დან — 2-ს; ახმეტის (გამგე ა. ბაკურაძე) 6-დან — 2-ს; ბოგდანოვკის (გამგე პ. ვოსკანიანი) 6-დან — 2-ს; თელავის (გამგე ა. თვალიაშვილი) 13-დან — 2-ს; ამბროლაურის (გამგე ს. ცირეკიძე) 1-დან — 1-ს; ბორჯომის (გამგე ნ. ჩადუნელი) 1-დან — 1-ს; დმანისის (გამგის მოვალეობის შემსრულებელი ვ. დევრისაშვილი) 2-დან — 1-ს; ყვარლის (გამგე რ. შავგულიძე) 3-დან — 1-ს; ლანჩხუთის (გამგე გ. ქინქლაძე) 4-დან — 1-ს; მესტიის (გამგე ა. ჩხვიმიანი) 4-დან—1-ს; ორჯონიკიძის (გამგე შ. ღონღაძე) 2-დან — 1-ს; თეთრიწყაროს (გამგე ლ. ჯინჯიხაძე) 2-დან — 1-ს; ქუთაისის (გამგე ვ. ყავლაშვილი) 1-დან — 1-ს; ქ. ფოთის (გამგე გ. ხოჭოლავა) 7-დან — 1-ს; ქ. თბილისის საქარხნო (გამგე გ. კბილაშვილი) 3-დან — 2-ს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლანჩხუთის, ახმეტის, გეგეჭკორის, ლაგოდეხის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, თეთრიწყაროს და ყვარლის რაიონებიდან განათლების სამინისტროში წარმოდგენილი ზოგიერთი ოქროს მედლის კანდიდატის წერითი ნაშრომები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში აშკარად დაბალ დონეზე იყო შესრულებული და მათი სამინისტროში წარმოდგენა სასკოლო და რაიონული კომისიების მიერ თვალნათლივ მიუთითებს ან აღნიშნული კომისიების არაკვალიფიციურობაზე, ან მათ დანაშაულებრივ ლიბერალიზმზე და თვალისახვევის მცდელობაზე.

აღნიშნული რაიონებისა და ქალაქების სკოლების კურსდამთავრებულთა საგამოცდო ნამუშევრებში დაშვებული შეცდომები აშკარად მიუთითებენ მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ალგებრა და ანალიზის საწყისების სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული მასალების არამყარ ცოდნაზე, რაც უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზედაც დადასტურდა — იმ კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა, რომელსაც განათლების სამინისტროში უარი ეთქვა ოქროს მედლით დაჯილდოებაზე, მისაღებ გამოცდებზე ვერ შეძლო

სკოლაში მიღებული ნიშნების გამართლება, უფრო მეტიც, მათმა დიდმა ნაწილმა მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი ნიშნები მიიღო.

მაგალითად, ქ. თბილისის 124-ე სკოლიდან დ. ლონდარიძე ჩაიჭრა მათემატიკაში (დირექტორი მ. ჯაფარიძე); გეგეჭკორის რაიონის მე-2 სკოლიდან: ქ. გოროზია — ქიმიაში, ლ. ქუთათელაძე — მათემატიკაში (დირექტორი მ. მამარდაშვილი), 1-ლი სკოლიდან მ. ჯიქია — ფიზიკაში (დირექტორი დ. გალდავა), მუხურჩის საშუალო სკოლიდან გ. მარსაია — მათემატიკაში (დირექტორი ო. გახოკია), სამტრედიის მე-2 სკოლიდან თ. ნინუა — მათემატიკაში (დირექტორი გ. კოპალეიშვილი), მე-3 სკოლიდან ი. ჭახრაკია — მათემატიკაში (დირექტორი თ. მიქაძე); წითელწყაროს 1-ლი სკოლიდან გ. ყოჩიაშვილი — ფიზიკაში (დირექტორი შ. ქადაგიძე); ბორჯომის რაიონის ტაძრისის საშუალო სკოლიდან ნ. კაპანაძე — ფიზიკაში (დირექტორი ა. ხითარიშვილი).

უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ აბიტურიენტთა საგამოცდო ნამუშევრებში დაშვებული შეცდომების ანალიზმა ნათლად გამოამჟღავნა მშობლიური ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და ისტორიის სწავლების საქმეში არსებული ფორმალიზმი და იმ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხობრივი მაჩვენებლების დაბალი დონე, რომლებიც წლების განმავლობაში „ფრიადოსნებად“ ითვლებოდნენ.

საშუალო სკოლების გამოსაშვებ და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წერითი ნამუშევრების ანალიზმა დაადასტურა, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი სკოლის კურსდამთავრებულებს არა აქვთ მშობლიური ენისა და ლიტერატურის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების საფუძვლიანი ცოდნა. არაიშვიათად ვხვდებით მართლწერის ელემენტარული წესების უცოდინარობის, ქართული ენის გრამატიკის კურსში შესწავლილი თეორიული მასალის დავიწყების ან პრაქტიკაში მისი გამოყენების უუნარობასა და ლექსიკური შეზღუდულობის შემთხვევებს. კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილი არადამაკმაყოფილებლად იცნობს შესწავლილი მხატვრული ნაწარმოების ტექსტს, რის გამოც ვერ ერკვევა მის დედააზრსა და დანიშნულებაში, ნამუშევრების გარკვეულ ნაწილს აშკარად ეტყობა, რომ მოსწავლეებს არა აქვთ აზრის დამოუკიდებლად

გადმოცემის უნარ-ჩვევები, მათი მსჯელობა, უმეტეს შემთხვევაში, პრიმიტიულია და მოკლებულია დამაჯერებლობას. ნამუშევრებში დაშვებულია აზრობრივი, ორთოგრაფიული, სტილური, პუნქტუაციური და სხვა სახის შეცდომები.

